SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note

v. 2026.07

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 3
2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები 4
3. SMART Payroll-ის განახლებები 15
4. SMART WHT -ის განახლებები 19
5. სისტემის განახლების პროცედურა 20
6. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 21

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2026.07 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონირების ცვლილებებს 04/01/26-დან 06/30/26-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2026 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#82050	დაემატა უცხოურ ვალუტაში ღირებულების ცვლილების დოკუმენტების შექმნის ფუნქციონალი. გადაფასებისას სისტემა ითვალისწინებს ყველა წინა გადაფასებას და მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს გაცვლითი კურსი, რომლის მიხედვითაც შეიქმნება გადაფასების დოკუმენტი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#89664	გაუმჯობესდა მომწოდებლის გადახდის გენერირებისას დანიშნულების შევსების ლოგიკა, რაც უზრუნველყოფს დღგ-ის თანხების ზუსტ გამოთვლასა და კორექტულ ასახვას იმ შემთხვევებში, როდესაც დაკავშირებული დოკუმენტი ან გატარება შეიცავს დღგ-ის რამდენიმე განსხვავებულ განაკვეთს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#89828	შესყიდვის ინვოისის პერსონალიზაციის გვერდზე დაემატა ველი „შეკვეთის ნომერი“, რომელიც შესაძლებელს ხდის მის გამოტანას დოკუმენტის სტრიქოებში. აღნიშნული ველი გამოიყენება დაპოსტილი შესყიდვის ინვოისის კოპირებისას ახალი შესყიდვის ინვოისში, როდესაც საწყისი დოკუმენტი შექმნილია შესყიდვის ორდერის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში მისი ხელით გასუფთავება შესაძლებელია. ფუნქციონალი განხორციელდა დეტალურ ბრუნვით უწყისში მონაცემების კორექტულად ასახვის უზრუნველსაყოფად.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#92127	დაემატა ახალი პარამეტრი „კორექტირების ოპერაციების ჩვენება“ რეპორტში „საქონლის ბრუნვის უწყისი“ (Item Net Amount Sheet). პარამეტრის გააქტიურების შემთხვევაში, რეპორტის სტრიქონებში ასევე გამოჩნდება კორექტირების (Reversed/Correcting) ოპერაციები.	საოპერაციო ანგარიშგებები	New feature

CORE	#95449	"კლიენტის საბუღალტრო ჩანაწერების ავტომატური დაკავშირება" და "მომწოდებლის საბუღალტრო ჩანაწერების ავტომატური დაკავშირება" ამოცანების ფუნქციონალი გაუმჯობესდა: დაემატა ახალი პარამეტრი "დაკავშირება ჩანაწერის ნიშნით", რომელიც განსაზღვრავს, როგორ მოხდება ჩანაწერების დაკავშირება; დაემატა მრავალვალუტიანი ტრანზაქციების შესაბამისად დაკავშირებული თანხების გადათვლა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#97334	გაუმჯობესდა გადახდების შერჩევის ფუნქციონალი ბანკის გადახდის ჟურნალ-ში: „მომწოდებლის გადახდების შეთავაზება" ფუნქციის გამოყენებისას, თუ არჩეულია საბანკო ანგარიში ვალუტის კოდის გარეშე და ბანკის ანგარიშზე ჩართულია პარამეტრი „ვალუტის კოდის შემოწმება", სისტემა ავტომატურად არჩევს შესაბამის დოკუმენტებსა და ჩანაწერებს ლოკალურ ვალუტაში. ჩანართში „ღია დოკუმენტები" დაემატა გაუმჯობესებული ფილტრაცია: თუ არჩეულია საბანკო ანგარიში, რომელზეც გააქტიურებულია „ვალუტის კოდის შემოწმება", სისტემა ფილტრავს საბანკო ანგარიშის ვალუტის შესაბამის დოკუმენტებს. ამასთან, მომხმარებელს შეუძლია ფილტრის ხელით შეცვლა ან გასუფთავება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#97584	ბანკის ანგარიშის ბარათზე დაემატა ახალი ველი — „კონტრაგენტის იდენტიფიკაციის მეთოდი", რომელიც განსაზღვრავს, საბანკო ანგარიშის მონაცემებთან ერთად რომელი დამატებითი იდენტიფიკატორი გამოიყენება საბანკო ამონაწერის იმპორტისას კონტრაგენტის იდენტიფიკაციისთვის. შესაძლო მნიშვნელობებია: ცარიელი – შედარება არ ხორციელდება არც რეგისტრაციის ნომრით და არც საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით; რეგისტრაციის ნომრით; ან საიდენტიფიკაციო ნომერით.	ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრების მართვა	New feature

CORE	#98965	დაემატა ხელშეკრულების ნომრის ავტომატური შევსება ყველა ჩანაწერში, როდესაც ჟურნალის სტრიქონში მომწოდებლის გადახდა უკავშირდება შესყიდვის დოკუმენტს და "მთავარი წიგნის კონფიგურაცია"-ში პარამეტრი „მომწოდებლებისთვის გადახდების განაწილება" (Divide Payments for Vendors) დაყენებულია მნიშვნელობაზე „დაპოსტვისას". ასევე დაემატა ტექნიკური დავალება „ხელშეკრულების ნომრის განახლება დაპოსტვის და გადახდების განაწილების შემდეგ", რომელიც გამოიყენება უკვე დაპოსტილ ჩანაწერებში ხელშეკრულების ნომრის შესავსებად.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#99086	გამოსწორდა შეცდომა მოდერნიზაციის აქტის შექმნისას სხვა აქტიდან კოპირების გზით — ახლა სისტემა აჩვენებს ყველა ხელმისაწვდომი დაუპოსტავ მოდერნიზაციის აქტის სრულ ჩამონათვალს და მომხმარებელს აძლევს საშუალებას, აირჩიოს საჭირო დოკუმენტი კოპირებისთვის.	ძირითადი საშუალებები	Bugfix
CORE	#99106	„გამოსწორდა ძირითადი საშუალებების ჩანაწერებში ღირებულებისა და რაოდენობის მაჩვენებლების ასახვა როდესაც იპოსტება კორექტირებული მარაგების ჩამოწერის დოკუმენტი "ძირითად საშალებაზე გადატანა" ტიპით, რირებულებები ახლა აისახება უარყოფითი მნიშვნელობებით. გარდა ამისა, ახლა შესაძლებელია ისეთი აქტის კოპირებაც, თუ ძირითადი საშუალების სტატუსი „ინვენტარი" აქვს.	პროდუქციის მართვა	Bugfix
CORE	#99122	სერვისის შეთავაზებების შემთხვევაში განხორციელდა კლიენტის ხელშეკრულების ავტომატური შევსება, ხოლო განახლდა კლიენტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის ვალიდაციის ლოგიკა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#99734	გაუმჯობესდა „ღია დოკუმენტების ჩვენების" ჩანართის (Show Open Documents Subform) გამოტანის ლოგიკა ბანკის გადახდების ჟურნალში. ტაბის არააქტიურ მდგომარეობაში აღარ ხდება ზედმეტი მნიშვნელობების გამოთვლა, რაც ზრდის წარმადობას	ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრების მართვა	New feature

		დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობისას და თავიდან აცილებს შეცდომებს.		
CORE	#99856	დაემატა შესაძლებლობა, შესყიდვის დაპოსტილი დოკუმენტებისთვის გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ნომრების სერია (ნუმერაცია). დაემატა "შესყდივის დოკუმენტის ნუმერაციის შაბლონი", რომელიც შესაძლებელია მიებას მომწოდებლის ბარათს ან მომწოდებლის ხელშეკრულებას. ეს საშუალებას იძება განსხვავებული ნომერ სერია მიენიჭოს დაპოსტილ ინვოისს, დაპოსტილ მიღების დოკუმენტს, დაპოსტილ კრედიტ ნოტას და სხვა ტიპის შესყიდვის დოკუმენტებს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100047	"კლიენტის ჩანაწერების ავტომატური დაკავშირება" და "მომწოდებლის ჩანაწერების ავტომატური დაკავშირება "-ამოცანების ალგორითმი გასწორებულია: თუ ჩანაწერების დაკავშირება არ შესრულდება, ასეთ ჩანაწერებზე „Applies-to ID" ველი არ შეივსება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	Bugfix
CORE	#100072	გაუმჯობესდა სერვისის დოკუმენტებისთვის გადახდების დაკავშირების ფუნქციონალი. დაუპოსტავი სერვისის დოკუმენტების გვერდებზე დაემატა მოქმედება დაკავშირებული გადახდის გაუქმება" , ასევე ველები დაკავშირებული თანხა" და „დაკავშირებული თანხა (LCY)" , რომლებიც აჩვენებს დაკავშირებული გადახდების ჯამურ მნიშვნელობებს. სერვისის ინვოისის გვერდზე დაემატა ველი „გამოშვების სტატუსი" და ღილაკი „დარელიზება მიწოდებისთვის" (Released to Ship), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია დოკუმენტის დარელიზება ან ხელახლა გახსნა. შეიცვალა დაუპოსტავი სერვისის დოკუმენტების შერჩევის ალგორითმი „დოკუმენტები გადახდისთვის" ქვეფორმაში და „კლიენტის სერვისის დოკუმენტების დაკავშირება გვერდზე — ახლა გადახდისთვის ნაჩვენებია მხოლოდ	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature

		ის დოკუმენტები, რომელთა სტატუსია „დარელიზებული“ (Released) / „დარელიზებული მიწოდებისთვის“ (Released to Ship). ასევე, გასწორდა გადახდების შექმნის ფუნქციონალი Bank Payment Journal-ის „დოკუმენტები გადახდისთვის“ ქვეფორმიდან. როდესაც იქმნება გადახდა დაუპოსტავი სერვისის დოკუმენტისთვის, სისტემა ავტომატურად ნიშნავს ავანსური გადახდის ალამს და ავტომატურად ახდენს აღნიშნული გადახდის დაკავშირებას დოკუმენტზე.		
CORE	#100135	**დაემატა შესაძლებლობა, გაყიდვის დაპოსტილი დოკუმენტებისთვის გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ნომრების სერია (ნუმერაცია). დაემატა “დაყიდვის დოკუმენტის ნუმერაციის შაბლონი”, რომელიც შესაძლებელია მიებას კლიენტის ბარათს ან კლეინტის ხელშეკრულებას. ეს საშუალებას იძება განსხვავებული ნომერ სერია მიენიჭოს დაპოსტილ ინვოისს, დაპოსტილ გაცემის დოკუმენტს, დაპოსტილ კრედიტ ნოტას და სხვა ტიპის** გაყიდვის დოკუმენტებს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100136	ველი „კომპანიის ბანკის ანგარიში“ დაემატა შემდეგ გვერდებზე: გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანების კონფიგურაცია, კლიენტის ბარათი და კლიენტის ხელშეკრულების ბარათი. კლიენტის ბარათ-ზე ეს ველი ავტომატურად ივსება გაყიდვებისა და დებიტორული დავალიანების კონფიგურაციი-დან, ხოლო კლიენტის ხელშეკრულების ბარათზე — კლიენტის ბარათიდან. ასევე დაინერგა გაყიდვების დოკუმენტებში ველის „კომპანიის ბანკის ანგარიში“ ავტომატური შევსების ფუნქცია: თუ დოკუმენტში მითითებულია კლიენტის ხელშეკრულების მნიშვნელობა გადმოდის ხელშეკრულებიდან, ხოლო თუ ხელშეკრულება არ არის მითითებული — კლიენტის ბარათიდან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100144	გაყიდვისთვის ძირითადი საშუალებების რეკლასიფიკაციის ფუნქციონალი შეიცვალა. სხვადასხვა	ძირითადი საშუალებები	New feature

		ტიპის ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მიხედვით თანხები მიმდინარე ამორტიზაციის წიგნიდან ჩამოიწერება ცალკეული ოპერაციებით, ხოლო რეალიზაციისთვის განკუთვნილ ამორტიზაციის წიგნში ისინი ირიცხება საერთო (ჯამური) თანხის სახით.		
CORE	#100222	განახლდა საბეჭდი ფორმა „დეტალური ბრუნვის უწყისი" დეტალიზაციის პარამეტრებისა და „ოპერაციების ჩვენება" პარამეტრის გათვალისწინებით. „ოპერაციების ჩვენება" პარამეტრის ჩართვის შემთხვევაში, ჩანაწერები არის ჩაშლილი ქვედა დამატებითი დონის სახით. ახალი შაბლონის ჩამოტვირთვა შესაძლებელია Import predefined SMART packages - Release 2026.07 (Part 1) კონფიგურაციიდან	საოპერაციო ანგარიშგებები	New feature
CORE	#100239	მომწოდებლების/კლიენტების ოპერაციების ავტომატური დაკავშირების ფუნქციონალში დაემატა ორი ახალი ველი — „დაკავშირება დაპოსტვის თარიღით (Application Posting Date)" და „დაკავშირების დაპოსტვის თარიღის გამოყენება მხოლოდ დიაპაზონის გარეთ არსებულ ოპერაციებზე" (Use Application Posting Date Only for Out-of-Range Operations), რომლებიც აფართოებს ღია ოპერაციების დაკავშირების ლოგიკას. ახალი ველები საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს დაკავშირების დაპოსტვის თარიღი ნებადართული დაპოსტვის თარიღების დიაპაზონის გათვალისწინებით.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100249	SMA Import Exchange Rates Report-ის ლოგიკა შეიცვალა. ახლა რეპორტი ვალუტის კოდებს პოულობს ISO კოდის საფუძველზე. ეს შესაძლებელს ხდის შეიქმნას ერთზე მეტი ვალუტის ბარათი განსხვავებული კოდებით, მაგრამ ერთნაირი ISO კოდებით, და თითოეული ვალუტის ბარათისთვის ცალ-ცალკე განხორციელდეს ვალუტის გაცვლითი კურსების იმპორტი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature

CORE	#100488	„სრული სახელი“ ველი ახლა ხელმისაწვდომია პასუხისმგებელი თანამშრომლის ბარათის გვერდზე. დაემატა „სახელი 2“ ველის პერსონალიზაციით გამოტანის საშუალება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100726	გასწორდა ძირითადი საშუალებების შეძენისას ოპერაციებში რაოდენობის შევსება: ახლა პირველი ოპერაციისთვის, რომლის აღრიცხვის ტიპია „შეძენის ღირებულება“, რაოდენობა ყოველთვის უდრის 1-ს, მიუხედავად შეძენილი ძირითადი საშუალების ღირებულებისა.	ძირითადი საშუალებები	New feature
CORE	#100748	გასწორდა ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულების ასახვა: მარაგის ძირითად საშუალებად გადაყვანის ოპერაციის დაპოსტვისას ან ძირითადი საშუალების მოდერნიზაციისას აქტით მარაგის ჩამოწერით ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდა. ახლა შეძენის ღირებულება სწორად ისახება, როგორც ჩამოწერილი მარაგის თვითღირებულების გაზრის, ისე შემცირების შემთხვევაში. ადრე ცვლილებები აისახებოდა მხოლოდ თვითღირებულების გაზრისდროს.	ძირითადი საშუალებები	Bugfix
CORE	#100972	ველი"ავანსი" დაემატა საერთო ჟურნალის სტრიქონებში, რომელიც საწყისი ნაშთების შესაყვანად არის გათვალისწინებული.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#100991	დამატებულია შესაძლებლობა, რომ ბრუნვითი უწყისის რეპორტში დაყენებული ფილტრები გაითვალისიწნოს საბეჭდი ფორმის ფილტრებში. გასწორებულია თანხების ჩვენების ლოგიკა საბეჭდს ფორმაში იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ანგარიშის ბრუნვები შეიცავს როგორც დადებით, ასევე უარყოფით მნიშვნელობებს. ახლა საბეჭდ ფორმაში თანხები სისტემაში არსებული მნიშვნელობების შესაბამისად ისახება: დადებითი თანხები „+“ ნიშნით, ხოლო უარყოფითი თანხები „-“ ნიშნით.	საოპერაციო ანგარიშგებები	New feature
CORE	#101121	მთავარი საბუღალტრო წიგნის გვერდზე დაემატა ახალი ველი — „ნულოვანი კორესპონდენციისთვის ანგარიშის ტიპი“. თუ მომხმარებელი ამ ველს ხელით შეავსებს და მიუთითებს ანგარიშის მხარეს	საოპერაციო ანგარიშგებები	New feature

		(დებეტი ან კრედიტი), სისტემა ტრანზაქციის ფარგლებში ავტომატურად შექმნის შესაბამის ნულოვანი კორესპონდენციის ჩანაწერს. ადრე ნულოვანი კორესპონდენციის ჩანაწერები ავტომატურად არ იქმნებოდა.		
CORE	#101228	დაემატა ახალი ფილტრები „წყაროს ტიპი“ (Source Type) და „წყაროს ნომერი“ (Source No.) „ბუღალტრული ანგარიშის ბარათი“ (G/L Account Card) რეპორტის მოთხოვნის პარამეტრებში. თუ რეპორტის გაშვებისას აღნიშნული ფილტრები შევსებულია, რეპორტში ნაჩვენები ჯამური მონაცემები გამოითვლება მითითებული წყაროს ტიპისა და წყაროს ნომრის მიხედვით.	საოპერაციო ანგარიშგებები	New feature
CORE	#101232	ავტომატური დაკავშირების და გაუქმების (Auto Apply and Unapply Vendor/Customer Entries) გვერდებზე დაემატა ფილტრები, რომლებიც საშუალებას იძლევა ოპერაციების შერჩევა განხორციელდეს მომწოდებლის/მყიდველის აღრიცხვის ჯგუფის, ვალუტის კოდის და გლობალური განზომილებების 1 და 2 მნიშვნელობების მიხედვით.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#101459	გასწორებულია შეცდომა, რომელიც ხელს უშლიდა კორექტირების ჩამოწერის დოკუმენტის სწორად შექმნას იმ საქონლისთვის, რომელთაც ჩართული ჰქონდათ სერიული ნომრებით ან პარტიებით აღრიცხვა. (თრექინგი) ახლა ასეთი საქონლისთვის სისტემა დოკუმენტის სტრიქონში „ოპერაციასთან მიბმა“ ველის შევსების ნაცვლად ქმნის თრექინგის და დაკავშირებულ ჩანაწერებს უშუალო საწყისი სასაქონლო წიგნის ჩანაწერების საფუძველზე.ეს უზრუნველყოფს სერიული ნომრებისა და პარტიის ნომრების სწორ გადატანასა და დამუშავებას კორექტირების ჩამოწერის დოკუმენტში.	პროდუქციის მართვა	Bugfix
CORE	#101616	გამოსწორდა შეცდომა, რომელიც ბლოკავდა სავალუტო ოპერაციების აღრიცხვას კლიენტებისა და მომწოდებლებისთვის, რომლებსაც რამდენიმე სააღრიცხვო ჯგუფი ჰქონდათ.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	Bugfix

CORE	#102017	დაემატა დადასტურების პროცესის სქემის (Approval Workflow Chart) ფანჯარა შემდეგ გვერდებზე: საქონელი, კლიენტი, ხელშეკრულება, მომწოდებელი, შესყიდვისა და დაყიდვის დოკუმენტებში. ფანჯარა ავტომატურად გამოჩნდება იმ ჩანაწერებისთვის, რომლებზეც კონფიგურირებულია და გააქტიურებულია დადასტურების პროცესი	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#102152	ადაპტირებულია ოპერაციების დაკავშირების გაუქმების (Unapply) ფუნქციონალი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც კლიენტისა და მომწოდებლის ოპერაციები სხვადასხვა აღრიცხვის ჯგუფს (Posting Group) ეკუთვნის. ამიერიდან, ოპერაციების დაკავშირების გაუქმებისას, დარიცხული საკურსო სხვაობის სტორნო აისახება იმავე ბუღალტრული წიგნის ბუღალტრულ ანგარიშზე, რომელსაც ეკუთვნის თავდაპირველი ოპერაცია, რომელზეც განხორციელებული იყო ოპერაციების დაკავშირება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#102207	ინტერკომპანის მთავარ ჟურნალში" (Intercompany General Journal) დამატებულია შემდეგი ველები: „ხელშეკრულების ნომერი", „ავანსური გადახდა" და „გადახდის დანიშნულება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
CORE	#102618	გამოსწორდა შეცდომა, რომელიც წარმოიშვებოდა ძირითადი საშუალებების გადაადგილების ოპერაციების გაუქმების დროს. პროცესის სწორად მუშაობის უზრუნვ ელსაყოფად, დაემატა არაპირდაპირი რედაქტირები ს უფლებები შესაბამისი ჩანაწერების თვის.	ძირითადი საშუალებები	Bugfix
CORE	#102703	გასწორდა პრობლემა, რომელიც წარმოიშვებოდა ძირითადი საშუალების გაყიდვის გაუქმებისას, მაკორექტირებელი კრედიტ მემოს (credit memo) გატარების პროცესში.	ძირითადი საშუალებები	Bugfix
CORE	#103193	გასწორდა მონაცემთა სტრუქტურის ასახვა ძირითადი საშუალებების ბრუნვის უწყისში.	ძირითადი საშუალებები	Bugfix

CORE	#103228	გამოსწორდა ლოგიკა, რომელიც პასუხისმგებელი თანამშრომლის შექმნისას თანამშრომლის ბარათიდან მომწოდებლის ბარათზე ანალიტიკის კოპირებას უზრუნველყოფს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	Bugfix
CORE	#103271	გაუმჯობესდა „თანხა -ადგილობრივ ვალუტაში" (Amount (LCY)) ველის განახლება დაუპოსტავ გაყიდვების დოკუმენტებში, როდესაც ფასები დღგ-ს მოიცავს. „თანხა - ადგილობრივ ვალუტაში" ველი ახლა სწორად გადაითვლება და განახლდება „თანხა" ველის შეცვლის შემდეგ.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	New feature
GE	#88507	Rs.ge-ზე 2025 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა ანგარიშ-ფაქტურებზე ავანსის მიბმის ფუნქციონალის განახლება. სისტემიდან ანგარიშ-ფაქტურის გაგზავნისას, მასზე მიბმული ავანსის ინფორმაცია ავტომატურად იგზავნება Rs.ge-ზე ანგარიშ-ფაქტურასთან ერთად. ავანსის მიბმის არსებული მექანიზმი უცვლელია და ხორციელდება დაკავშირებული ანგარიშ-ფაქტურების ლეჯერის მეშვეობით. Rs.ge-დან ანგარიშ-ფაქტურის შემოტანისას, მასზე მიბმული ავანსის ინფორმაცია ავტომატურად აისახება მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ავანსების ლეჯერში, ყველა შესაბამისი ველის შევსებით.	დღგ	New feature
GE	#97227	გადაადგილების შეკვეთის დაპოსტვის შედეგად შექმნილ ზედნადებზე დაემატა rs.ge-ის საზომი ერთეულის ვალიდაცია. თუ საქონლის საზომ ერთეულს არ აქვს მითითებული შესაბამისი rs.ge-ის საზომი ერთეული, სისტემა გამოიტანს შესაბამის შეტყობინებას.	ზედნადებები	New feature
GE	#101514	სისტემა ახლა აკონტროლებს შესყიდვის ორდერის/დაპოსტილი მიღების დოკუმენტი და მიღებულ ზედნადებს შორის კავშირს. სისტემა აცონებებს მომხმარებელს, რომ აღნიშნულ დოკუმენტებს შორის კავშირი წინასწარ უნდა გააუქმოს შემდეგ შემთხვევებში: მიღებული ზედნადების ხელით წაშლისას; მიღებული	ზედნადებები	New feature

		ზედნადებზე მომწოდებლის ან საწყობის შეცვლისას. დამატებით, შესყიდვის დოკუმენტის წაშლილას, სისტემა ატყობინებს მომხმარებელს რომ შესყიდვის ორდერი დაკავშირებული არის ზედნადებთან და სთხოვს გადაამოწმოს შესაბამისი ზედნადები.		
GE	#101769	დაემატა მიმდინარე დღის ამონაწერის იმპორტის საშუალება Bank of Georgia API v2 იმპორტის ფორმატისთვის. ამისათვის ამონაწერის პერიოდ-ში პერიოდის არჩევისას დაემატა ველი მიმდინარე დღის ამონაწერის იმპორტი.	ფულადი სახსრების მართვა	New feature
GE	#101988	მიღებული ზედნადებიდან შესყიდვის ორდერის შექმნისას დაემატა გადახდის პირობისა და გადახდის ვადის ავტომატური განახლება შესყიდვის ორდერში მითითებული მომწოდებლის დეფოლტ ხელშეკრულების მიხედვით.	ზედნადებები	New feature
GE	#103677	გასწორდა შესყიდვის ზედნადებებთან დაკავშირებული შემდეგი ხარვეზები: -ზედნადების სტატუსის განახლებაზე მომწოდებლის ნომრის შევსება სტრიქონებში; -"დაკავშირებული რაოდენობის" განახლება ზედნადების სტრიქონებში, როდესაც შესყიდვის ორდერში მოხდა რაოდენობის ცვლილება. ზედნადებთან შესაძლებელია დაკავშირდეს მხოლოდ ნაკლები ან ტოლი რაოდენობის მნიშვნელობა რაც უზრუნველყოფს "სრულად დაკავშირებული" მნიშვნელობის სწორი მნიშვნელობის ასახვას; -შესყიდვის ორდერში ხელშეკრულების განახლების შემთხვევაში "დაკავშირებული რაოდენობის" განახლება და შესაბამისი ასახვა ზედნადების სტრიქონებში.	ზედნადებები	New feature

3. SMART Payroll-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#99567	შეიქმნა Payroll Overview-ის ფუნქციონალი (სახელფასო უწყისის ანალოგი) — ინტერაქტიული მატრიცა სახელფასო მონაცემების რეალურ დროში ანალიზისთვის, რომელიც უზრუნველყოფს დაჯგუფების, დეპარტამენტების იერარქიის, პერიოდების და პირველადი ჩანაწერების დონემდე დეტალიზაციის მხარდაჭერას. დამატებულია ატრიბუტების დინამიკური სვეტები, შემაჯამებელი მაჩვენებლების (დარიცხვები , დაქვითვები, ხელზე ასაღები თანხა) გამოთვლა, მოქნილი ფილტრაციის მექანიზმები და drill-down ფუნქციონალი იერარქიის ყველა დონეზე. ინტეგრირებულია მონაცემების ვიზუალიზაცია (გრაფიკები) ანალიზის სხვადასხვა სცენარისთვის და Excel-ში ექსპორტის შესაძლებლობა კონფიგურირებადი შაბლონების საფუძველზე.	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	New feature
CORE	#102226	პროდუქტიულობის გაუმჯობესების მიზნით , ფუნქციები: ხელფასის დოკუმენტის სტრიქონების ანალიზი" და „ხელფასის ოპერაციების წიგნის ჩანაწერების ანალიზი" ტექნიკურად შეიცვალა: ძირითადი query ჩანაცვლდა ცალკე გვერდით; სხვა ცხრილებიდან მონაცემებს იყენებდი FlowField ველები გაუქმებულია; ამის ნაცვლად დამატებულია	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	New feature

		შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში სხვა ცხრილებიდან მონაცემების შერჩევითად დაკავშირებისთვის.		
CORE	#100297	დაემატა ახალი ფუნქციონალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელფასო დოკუმენტების მასობრივ გაუქმებას (მათ შორის, მათზე განხორციელებული ოპერაციების ავტომატურ გაუქმებას), ასევე გადახდის უწყისში გადახდების მასობრივ დარევერსებას.	ხელფასის დაანგარიშება	New feature
CORE	#103498	შრომითი ხელშეკრულების პირობებში კომბინირებული პოზიციების სტრიქონებისთვის დაემატა მონიშვნა „გამოიყენოს ძირითადი პოზიცია“, რომელიც საშუალებას იძლევა კონტროლირდეს ანაზღაურების დარიცხვისას გამოყენებული ანალიტიკების წყარო. თუ აღნიშვნა არ არის დაყენებული (არა), დარიცხვებისთვის გამოიყენება შესაბამისი ხელშეკრულების სტრიქონში მითითებული კომბინირებული პოზიციისთვის განსაზღვრული ანალიტიკები. თუ აღნიშვნა დაყენებულია "კი", დარიცხვებისთვის გამოიყენება თანამშრომლის ძირითადი პოზიციის ანალიტიკები.	ხელფასის დაანგარიშება	New feature
CORE	#102275	გასწორდა ხელფასის დოკუმენტისთვის ერორის არასწორი ჩვენება „Preview Posting"-ის ხელახლა გაშვებისას.	ხელფასის დაანგარიშება	Bugfix
CORE	#100231	HR შეტყობინებების პარამეტრებში დაემატა შეტყობინების ახალი ტიპი — „სამედიცინო შემოწმება“, ხოლო შეხსენებები ფორმირდება შემდეგი სამედიცინო შემოწმების გავლის თარიღის მიხედვით.	პერსონალის სია	New feature
CORE	#100800	ჯგუფურ ბრძანებაში მასობრივი ცვლილებების ფუნქციონალში, ინდივიდუალურ რეჟიმში (Excel-ში რედაქტირება), დაემატა	პერსონალის სია	New feature

		განზომილების შეცვლის შესაძლებლობა.		
CORE	#103038	დანერგილია რამდენიმე პოზიციაზე (შიდა შეთავსებით) მომუშავე თანამშრომლებისთვის ხელფასის მასობრივი გაზრდის ფუნქციონალი ჯგუფური ბრძანების მეშვეობით. პოზიციის ბარათზე, მიუხედავად ველში „საბაზო ხელფასის ელემენტის კოდი" მითითებული მნიშვნელობისა, ველები „საბაზო ხელფასი" და „თვიური ხელფასი" ახლა პროპორციულად კორექტირდება „განაკვეთის" მიხედვით (ადრე ეს მხოლოდ HR Setup-ში განსაზღვრული საბაზო ხელფასის ელემენტებისთვის ვრცელდებოდა). „შეთავსების" ტიპის ჩანაწერისთვის შრომითი ხელშეკრულების პირობების შექმნისას, პოზიციის ბარათიდან ხელფასის ელემენტი და თანხა პირობებში გადაიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ელემენტი მოდულის პარამეტრებში ხელფასის ელემენტად არ არის განსაზღვრული. შედეგად, „შეთავსების" ტიპის პოზიციისთვის ხელფასის ელემენტისა და თანხის განსაზღვრის ორი სცენარია მხარდაჭერილი: პოზიციის ბარათზე; სხვა პოზიციის შრომითი ხელშეკრულების პირობებში. ორივე შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს ცალკე ხელფასის ელემენტი, ანუ ისეთი, რომელიც საბაზო ხელფასის ელემენტი არ არის.	პერსონალის სია	New feature
CORE	#103401	SMART Payroll-ის ძირითად გვერდებზე დაემატა ბმულებისა და შენიშვნების მიმაგრების შესაძლებლობა იმ ადგილებში, სადაც ადრე მხოლოდ დოკუმენტების დანართის სახით მიმაგრება იყო შესაძლებელი.	პერსონალის სია	New feature
CORE	#100508	შრომითი ხელშეკრულების ჰედერის და სტრიქონებისთვის დაემატა ახალი სტატუსი – „გაუქმებული" (Canceled). ახალი სტატუსის მინიჭება	პერსონალის სია	New feature

		შესაძლებელია სპეციალური მოქმედების (Action) მეშვეობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დაბრუნება წინა სტატუსზე. ხელშეკრულების სტატუსზე დამოკიდებული ყველა ბიზნესპროცესი და ვალიდაციის წესი განახლებულია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ახალი „გაუქმებული" სტატუსის სწორი დამუშავება და მხარდაჭერა. „გაუქმებული" სტატუსი გამოიყენება თანამშრომლის დასაქმების ისტორიის შესანარჩუნებლად იმ შემთხვევებში, როდესაც მიღებულია თანამშრომლის სამსახურში აყვანის ბრძანება, თუმცა თანამშრომელს სამუშაო არ დაუწყია.		
CORE	#102298	დამატებულია ფუნქციონალი, რომელიც საშუალებას იძლევა დაპოსტილი გაცდენის ბრძანებების ჯგუფური (მასობრივი) გაუქმების შესაძლებლობას.	გაცდენების ორდერები	New feature
CORE	#99071	სახელფასო დოკუმენტის დაპოსტვისას დაემატა ვალიდაცია, რომელიც ამოწმებს, არსებობს თუ არა ღია ტრანზაქციები მომწოდებელ - საგადასახადო ორგანოზე, რომლის გადახურვის მეთოდი დაყენებულია მნიშვნელობაზე „Apply to oldest". ეს დადებით გავლენას ახდენს ტრანზაქციების ავტომატური მიბმის პროცესის სიჩქარეზე, რომელიც სრულდება სახელფასო დოკუმენტის დაპოსტვის შემდეგ.	ტექნიკური	New feature
	#102198	გაუმჯობესდა სახელფასო დოკუმენტების საფუძველზე Payslip-ის გენერირების მექანიზმი. ამიერიდან, სახელფასო ცხრილის ფორმირებისას მასში შეიტანება მხოლოდ ორიგინალ დოკუმენტში არსებული სტრიქონები.	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	New feature

4. SMART WHT -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
GE	#102089	გასწორდა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული ხრვეზი, რომლის შედეგადაც საშემოსავლო გადასახადის ჩანაწერები იქმნებოდა დარიცხვის დღის კურსის მიხედვით, ნაცვლად გადახდის დღის კურსისა, იმ შემთხვევაში, როდესაც ინვოისი დაპოსტილი იყო მთავარი ჟურნალის საშუალებით.	SMART WHT	Bugfix
GE	#76676	ერთიანი გადახდის რამოდენიმე ინვოისზე დაკავშირების შემთხვევაში, საშემოსავლო ახლა ითვლება და ისახება თითოეული ინვოისის მიხედვით დაკავშირებული თანხის (Apply amount) საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საშემოსავლოს, მთავარი საბუღალტრო ჩანაწერის და მომწოდებლის საბუღალტრო ჩანაწერის სწორ გაანგარიშებას	SMART WHT	New feature

5. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

6. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინაალმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.